სიორენ კირკეგორი

Søren Kierkegaard

შიში და ძრწოლა

(დიალექტიკური ლირიკა)

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის რატი ბაინდურაშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

„შიში და ძრწოლა“ გახლავთ სიორენ კირკეგორის ფილოსოფიური ნაშრომი, რომელიც პირველად 1843 წელს გამოიცა. წიგნი ეხება აბრაამის ისტორიას, როდესაც ღმერთმა მას უბრძანა, რომ საკუთარი ვაჟი, ისააკი, მსხვერპლად შეეწირა. ავტორი განიხილავს რწმენის ბუნებას და ამტკიცებს, რომ აბრაამი არის *რწმენის რაინდი*, რომელიც ეთიკურ კანონებს სცდება და ღმერთის ნებას უსიტყვოდ ემორჩილება.

ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ ჭეშმარიტი რწმენა სცდება რაციონალურ და ეთიკურ ჩარჩოებს და მოითხოვს აბსოლუტურ მორჩილებას ღმერთის ნებისადმი. იგი ტექსტში თეოლოგიურ და ეგზისტენციალურ საკითხებს ეხება, მათ შორის ინდივიდის სუბიექტურ ურთიერთობას ღმერთთან.

კირკეგორი განასხვავებს *ტრაგიკულ გმირსა* და *რწმენის რაინდს*, რომელთაგან პირველი ეთიკურ მსხვერპლს გაიღებს, ხოლო მეორე – *აბსურდის ძალით* ყველაფერს უკან იბრუნებს. წინამდებარე ნაშრომი ხაზს უსვამს სწორედ რწმენის პარადოქსულ და შეუცნობელ ბუნებას.

მთარგმნელი: რატი ბაინდურაშვილი
რედაქტორი: დავით ცომაია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-7746-9

სარჩევი

გზამკვლევი....4

წინათქმა....11
EXORDIUM....17
I....19
II....21
III....22
IV....23
ქებათა-ქება აბრაამისა....24
PROBLEMATA....37
PROBLEMA I....79
PROBLEMA II....100
PROBLEMA III....121
ეპილოგი....178

გამომცემლობის მიერ გამოცემული ს. კირკეგორის წიგნები....183

გზამკვლევი

სიორენ კირკეგორმა *შიში და ძრწოლა* დაწერა ფსევდონიმით 'იოჰანეს დე სილენციო', რაც უხეშად ითარგმნება, როგორც *მდუმარე ან მდუმარების იოანე*. ზოგადად, ავტორი ცდილობდა, რომ თავისი ფსევდონიმები თავისივე წიგნების ძირითად იდეებს დამთხვეოდა, მერედა, გამონაკლისი არც ეს ნაშრომი ყოფილა. ბიბლიური იგავის გადამღერებითა და ჰეგელიანური ფილოსოფიის კრიტიკით კირკეგორმა თავისი ახალი კონცეფცია, ახალი ფიგურა წარმოგვიდგინა: რწმენის რაინდი. ვინ არის რწმენის რაინდი და როგორ უკავშირდება იგი იოანეს მდუმარებას? ამაზე პასუხის გასაცემად უმჯობესია, დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც კირკეგორისა და ჰეგელიანიზმის დავის საგანი გახდა.

რელიგიის ფილოსოფიის ლექციებსა და სულის ფენომენოლოგიისა თუ სამართლის ფილოსოფიის ნაშრომებში ჰეგელი ეცადა, რომ მარტოოდენ აზროვნების ძალით რწმენისათვის ლოგიკური ახსნა მოეძებნა. ამას მოჰყვა მისი თანამედროვე ფილოსოფოსის, ფრიდრიხ შლაიერმახერის, მოსაზრება, რომ სრულიად შესაძლებელი იყო რწმენისა და მთლიანად რელიგიის რაციონალიზება იმდენად, რამდენადაც მათი აღქმისა და გააზრებისთვის ადამიანს გააჩნდა გამოცდილება და გრძნობები. რასაკვირველია, სრულიად საპირისპირო მხარეზე მყოფმა კირკეგორმა არ დააყოვნა პასუხის გაცემა და 1843 წელს თავისი ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, *შიში და ძრწოლა* გამოსცა, რომლის შესავალშიც ჰეგელიანელებს სიტყვას გადაუკრავს: „ყველაფერში ეჭვის შეტანა არავის აკმაყოფილებს. ყველას უფრო შორს

წასვლა სურს“. სწორედ აქ იბადება რწმენის რაინდი, ის, ვინც რწმენასთან ჩერდება.

„და იყო, ამ ამბების შემდეგ ღმერთმა გამოცადა აბრაამი და უთხრა მას: აბრაამ, აბრაამ; ხოლო მან თქვა: აჰა, მე. და უთხრა: წაიყვანე შენი საყვარელი ძე, რომელიც შეიყვარე, ისააკი, და წადი მაღალ ქვეყანაში და შესწირე იქ ყოვლადდასაწველად ერთ-ერთ მთაზე, რომელზედაც შენ გეტყვი“[1].

„და უთხრა ისააკმა აბრაამს, თავის მამას, და თქვა: მამა. ხოლო მან თქვა: რა არის, შვილო? და უთხრა: აჰა, ცეცხლი და შეშა; სად არის ცხვარი ყოვლადდასაწველად? და თქვა აბრაამმა: ღმერთი ნახავს თავისთვის ცხვარს ყოვლადდასაწველად, შვილო. და წავიდა ორივე ერთად“[2].

კირკეგორის სტაჟიანმა მკითხველმა უკვე იცის, რომ, ავტორის ფილოსოფიის მიხედვით, არსებობს ადამიანის ცხოვრების სამი საფეხური: ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური. ესთეტიკურ საფეხურზე ადამიანი ჰედონისტია. მისთვის არ არსებობს არავითარი ვალდებულება, მთავარია სიტკბოება და წამიერი, უშუალო სიამოვნება. ეთიკურ საფეხურზე ადამიანი კანონმორჩილია. იგი თავს ვალდებულად გრძნობს, რომ დაემორჩილოს საყოველთაო ეთიკურ ნორმებს და იცხოვროს როგორც საზოგადოების რაციონალურმა წევრმა. რელიგიურ საფეხურზე ადამიანი მორწმუნეა. იგი გაშლილი ხელებითა და გახსნილი გონებით ხვდება პარადოქსსა და აბსურდს, რათა ეთიკის მიღმა ღმერთთან (აბსოლუტთან) პირადი (აბსოლუტური) კავშირი დაამყაროს. ღმერთი აბრაამისგან ითხოვს ყველაზე ძვირფასს, ისააკს; აბრაამი თმობს ისააკს და სწამს, რომ აბსურდის წყალობით შვილს უთუოდ დაიბრუნებს. მისი კირკეგორისეული ამბავი აქ მთავრდება – აბრაამი რწმენის რაინდია.

---

1. დაბადება 22:1-2.

2. დაბადება 22:7-8.

ის, რაც ზემოთ აღვწერეთ, არის რწმენის ორმაგი მოძრაობა, ანუ რაღაც, რაც რწმენის რაინდს სხვა რაინდებისგან განასხვავებს. ამაღლებული მიზნისთვის საყვარელი ადამიანის გაწირვა ყველა ტრაგიკულად დაღუპული გმირის ხვედრია. აგამემნონმა დათმო იფიგენია, ბრუტუსმა – კეისარი,[3] სოკრატემ კი – თავისი სიცოცხლე. მაშ, რა განასხვავებს აბრაამს ამ ტრაგიკული გმირებისგან? ცხოვრების რელიგიურ საფეხურზე აბრაამმა პირველი მოძრაობით დათმო ყველაზე ძვირფასი, მეორე მოძრაობით კი ირწმუნა, რომ აბსურდის წყალობით მის დაბრუნებას შეძლებდა. თუ მავანი ამ ნათქვამში ეჭვს შეიტანს იქნება სამართლიანი, ვინაიდან, გმირები არ ელოდნენ დათმობილის დაბრუნებას, თუმცა მაინც სწამდათ თავიანთი მიზნების. მაგრამ აქ რამდენიმე საკითხია გასათვალისწინებელი.

აბრაამს, ტრაგიკული გმირისგან განსხვავებით, არ გაუწირავს ისააკი ამაღლებული მიზნისთვის. იგი იმყოფება რელიგიურ საფეხურზე, სადაც, როგორც ცალკეული ინდივიდი, საყოველთაო ეთიკურ კანონზე მაღლა დგას. მიუხედავად იმისა, რომ აბრაამმა „დათმო“ ისააკი, ღვთის აღთქმაში ეჭვი არ შეჰპარვია.

აბრაამის რწმენა არ ყოფილა ლოგიკაზე აგებული. ადამიანი ვერ ირწმუნებს შეუძლებელს ნაბიჯ-ნაბიჯ, რადგან შესაძლებლობიდან შეუძლებლობამდე არ არის გადებული ლოგიკის ხიდი. ერთადერთი გამოსავალი ამ მანძილის სხვა გზით დაფარვა, ან შეიძლება ითქვას, ამ მანძილის გამოტოვებაა. და როგორ მოახერხა ეს აბრაამმა? რწმენის ნახტომით. კირკეგორის ფილოსოფიაში *რწმენის ნახტომი* აბსურდში თავით გადაშვებაა, ეს არის ყოველგვარი გარანტიის გარეშე ყველასაგან ფარულად მიღებული გადაწყვეტილება, რომ ირწმუნო შეუძლებელი. ნახტომი სპონტანურია. მას შემდეგ, რაც დათმობას მიეცემი და შენი მიზნის შეუძლებლობას გაიაზრებ, აზროვნება გვერდზე უნდა გადა-

3. შექსპირი, *იულიუს კეისარი.*

შიში და ძრწოლა[4]

(დიალექტიკური ლირიკა)

იოჰანეს დე სილენციო

Was Tarquinius Superbus in seinem Garten mit den Mohnköpfen sprach, verstand der Sohn, aber nicht der Bote

[ის, რაც ტარკვინიუს სუპერბუსმა ეზოში ყაყაჩოებით თქვა, ვაჟმა გაიგო, მაგრამ შიკრიკმა – ვერა].

ჰამანი[5]

---

4. ფილიპელთა მიმართ 2:12-13: „ამრიგად, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის მორჩილნი იყავით, არა მარტო ჩემი მანდ ყოფნისას, არამედ, მით უმეტეს, ახლა, როცა შორსა ვართ თქვენგან, – შიშით და ძრწოლით აღასრულეთ თქვენი ხსნის საქმე. რადგან ღმერთია ის, ვინც ბადებს თქვენში ნდომასაც და ქმედებასაც თავისი კეთილნებელობით“.

5. ნაწყვეტი გერმანელი ფილოსოფოსის, იოჰან გეორგ ჰამანის (1733-1780) წერილიდან. როცა ტარკვინიუს სუპერბუსის ვაჟმა ეშმაკურად დაიკავა ქალაქი გაბი, მამამისს შიკრიკი გამოუგზავნა იმის საკითხავად, თუ რა უნდა მოემოქმედა შემდგომ. ტარკვინიუსმა, რომელიც არ ენდობოდა შიკრიკს, ეს უკანასკნელი ბაღში გაიყვანა და მის თვალწინ ყველაზე მაღალი ყაყაჩოები თავისი ხელჯოხით მოჭრა. როდესაც ეს შეტყობინება ვაჟს მიუვიდა, იგი მიხვდა, რომ ქალაქის წინამძღოლები თავიდან უნდა მოეშორებინა.

წინათქმა

ჩვენი ეპოქა *ფასდაკლებული საქონლის გაყიდვას*[6] არათუ სავაჭრო სფეროში, არამედ იდეათა სამყაროშიც ახორციელებს. ყოველივე ისეა გაიაფებული, რომ საკითხავია, საერთოდ გამოჩნდება თუ არა ბოლოს მყიდველი. იქნება ეს სპეკულაციური დამკვირვებელი, რომელიც პირნათლად მიჰყვება თანამედროვე ფილოსოფიის წამყვან ტენდენციებს, იქნება ეს ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი თუ მოსწავლე, ფილოსოფიაში ჩაუხედავი თუ მოყვარული, ყველაფერში ეჭვის შეტანა არავის აკმაყოფილებს. ყველას უფრო შორს წასვლა სურს.[7] ალბათ უდროო და შეუფერებული იქნებოდა, თუ ვიკითხავდი, რეალურად საით მიდიან, თუმცა, მთელი თავაზიანობითა და მოკრძალებით, მაინც შემიძლია ვივარაუდო, რომ მათ ეჭვი უკვე ყველაფერში შეიტანეს, თორემ შორს წასვლაზე ლაპარაკი ნამდვილად უცნაური იქნებოდა. მოსამზადებელი ნაბიჯი ყველამ გადადგა, თანაც, მგონი, ისე იოლად, რომ საჭიროდაც არ თვლიან, ამაზე ერთი-ორი სიტყვა განაცხადონ. იქნებ იმიტომ, რომ მანაც კი ვერაფერს მიაგნო, ვინც შიშსა და შფოთში ეძიებდა იოტისოდენა ცოდნას, მა-

6. (გერმ.) em wirklicher Ausverkauf.

7. ავტორი გულისხმობს დანიელ ჰეგელიანელებს, განსაკუთრებით იოჰან ლუდვიგ ჰაიბერგსა და ჰანს ლასენ მარტენსენს. „შორს წასვლის“ იდეა გულისხმობს ჰეგელიანელთა მცდელობას, რწმენისათვის მოეძებნათ ლოგიკური ახსნა. ეს უკანასკნელი სრულიად უპირისპირდება კირკეგორის მიერ შემოთავაზებულ „რწმენის ნახტომს“, რომელიც მთლიანად აბსურდზეა დაფუძნებული.

ნაც ვერ პოვა მინიშნება, თუნდაც მომცრო აღწერილობა, იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც ასეთ უზარმაზარ დავალებას ეჭიდება. „მაგრამ დეკარტმა ხომ შეძლო?“ დეკარტმა, პატივსაცემმა, თავმდაბალმა და გულახდილმა მოაზროვნემ, რომლის ნაშრომებსაც ღრმა განცდის გარეშე ვერავინ კითხულობს, შეძლო და გააკეთა ის, რასაც ამბობდა. აფსუს! ჩვენს დროში ეს დიდი იშვიათობაა! იგი ხშირად ამბობდა ხოლმე, რომ რწმენასთან მიმართებით ეჭვები არ გააჩნდა. „Memores tamen, ut jam dictum est, huic lumini naturali tamdiu tantum esse credendum, quamdiu nihil contrarium a Deo ipso revelatur … Præter cætera autem, memoriae nostræ pro summa regula est infigendum, ea quæ nobis a Deo revelata sunt, ut omnium certissima esse credenda; et quamvis forte lumen rationis, quam maxime clarum et evidens, aliud quid nobis suggerere videretur, soli tamen auctoritati divinæ potius quam proprio nostro judicio fidem esse adhibendam“[8]. მას არ უყვირია: „ხანძარი! ხანძარი!“, არც ის უთქვამს, ყველანი ვალდებულები ხართ, იეჭვოთო; ის ხომ გამაფრთხილებელი ღამის დარაჯი არ ყოფილა, ჩუმი და მარტოსული მოაზროვნე იყო; მან თავმდაბლურად აღიარა, რომ საკუთარ მეთოდს[9] ფასი მხოლოდ თავისთვის ჰქონდა და მის წარმოშობას ნაწილობრივ მიაწერდა გაუკუღმართებულ ცოდნას, რომელიც ადრეულ წლებში ჰქონდა მიღებული. „Ne quis

8. (ლათ.) თუმცა უნდა გვახსოვდეს რაც უკვე ითქვა. ამ ბუნებრივ სინათლეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ვენდოთ, თუ თავად ღმერთი არ გამოგვიცხადებს რაღაც საპირისპიროს… რაც ყველაზე მთავარია, მეხსიერებაში უშეცდომო წესივით უნდა ჩავიბეჭდოთ, რომ, რაც ღმერთმა გამოგვიცხადა, ის ყველაფერზე მეტად სარწმუნოა; მერედა, ჩვენი მოვალეობაა, რომ დავემორჩილოთ ღვთიურ ძალას და არა საკუთარ განსჯას, მაშინაც კი, თუ აზროვნების სინათლე, აშკარა სიცხადითა და მტკიცებულებით, რაღაც საპირისპიროზე მიგვითითებს. [*ფილოსოფიის საწყისები*, რენე დეკარტი, *ფილოსოფიური ტრაქტატები*.]

9. *მსჯელობა მეთოდის შესახებ*, რენე დეკარტი, *ფილოსოფიური ტრაქტატები*.

igitur putet, me hic traditurum aliquam methodum, quam unusquisque sequi debeat ad recte regendam rationem; illam enim tantum, quam ipsemet secutus sum, exponere decrevi. . . . Sed simul ac illud studiorum curriculum absolvi (sc. juventutis), quo decurso mos est in eruditorum numerum cooptari, plane aliud coepi cogitare. Tot enim me dubiis totque erroribus implicatum esse animadverti, ut omnes discendi conatus nihil aliud mihi profuisse judicarem, quam quod ignorantiam meam magis magisque detexissem"[10].

ის, რაც ძველ ბერძნებს, რომლებიც ოდნავ მაინც ერკვეოდნ-ენ ფილოსოფიაში, მიაჩნდათ მარადიულ დავალებად, ვინაიდან ეჭვის შეტანაში დახელოვნებას დღეებსა და კვირებზე მეტი სჭირ-დებოდა, ის, რაც, მოჩვენებით არგუმენტებში ეჭვის შეტანის ზომი-ერებით, შეიძინა გამოცდილმა მოპაექრემ, რომელმაც უშიშრად უარყო გრძნობებისა და აზროვნების აბსოლუტური ჭეშმარიტება და უკომპრომისოდ გაუმკლავდა საკუთარი თავის სიყვარულით გამოწვეულ შიშსა და სხვა გამოხდომებს – ამით ჩვენს ეპოქაში ვიწყებთ.[11]

ჩვენს ეპოქაში რწმენა არავის აკმაყოფილებს. ყველას უფრო შორს წასვლა სურს. ალბათ ნაჩქარევი იქნებოდა თუ ვიკითხა-ვდი, საით მიდიან. მეორე მხრივ, ზრდილობისა და კულტურის მანიშნებელი იქნება თუ ვივარაუდებ, რომ რწმენა ყველას გაა-

---

10. (ლათ.) ამრიგად, მე არ მაქვს განზრახული, ვასწავლო მეთოდი, რომელ-საც უნდა მიჰყვე, თუ სწორად აზროვნების ხელშეწყობა გსურს. მე უბრა-ლოდ მინდა, ვაჩვენო, თუ თავად როგორ ვაზროვნებდი... მაგრამ, როგორც კი მივიღე ცოდნა, რომლის დაუფლების შემდეგაც, ჩვეულებრივ, სწავლუ-ლთა რიგებში ირიცხები, ჩემი მრწამსი მთლიანად შეიცვალა. მე იმდენად შემაშფოთა აურაცხელმა ეჭვებმა და შეცდომებმა, რომ, ჩავთვალე, სწა-ვლა მხოლოდ საკუთარ უმეცრებაში მარწმუნებდა. [*მსჯელობა მეთოდის შესახებ*, რენე დეკარტი, *ფილოსოფიური ტრაქტატები*.]

11. საუბარია სკეპტიციზმზე. ავტორს მიაჩნია, რომ აზროვნებაში სკეპტიცი-ზმი გახდა საწყისი დამოკიდებულება და არა რაღაც, რის დასაუფლებლა-დაც ადამიანები ფილოსოფიურ კვლევასა და დისციპლინას საჭიროებენ.

გამომცემლობის მიერ გამოცემული

სიორენ კირკეგორის წიგნები

1. შიში და ძრწოლა
2. სატანჯველის სახარება
3. ან/ან: ნაწყვეტი ცხოვრებიდან